



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კეხურა

კეხურა, ძველი ქართული ვაშლის ჯიშის ერთ-ერთი წარმომადგენელია ქართლში, მესხეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამხრეთ-დასავლეთში. ხე სწრაფად იზრდება, აქვს ძლიერ გადაშლილი ვარჯი. მსხმოიარობას იწყებს მე-6-მე-7 წელს. უხვმოსავლიანია (სრულმოსავლიანი ხე საშ. 700-800 კგ ნაყოფს იძლევა), მენლუა, ნაყოფი მსხვილი ან საშ. ზომისაა, ფერად უფრო მომწვანო-მოყვითალო, ზემოდან წითლად შეფერილი, მასა 190 გ. აქვს სქელი, უხეში და მკვრივი კანი, მოთეთრო-მომწვანო, წვნიანი, უარომატო რბილობი. კრეფენ ოქტ. II ნახევარში. სარდაფის პირობებში ინახება მეორე მოსავლის აღებამდე. ტრანსპორტაბელურია.

**შ. ახვლედიანი**

---